№ 76

ხუთშაბათი, 13 აპრილი 1895

1877—1895

# ივერია

№ 76

ხუთშაბათი, 13 აპრილი 1895

**გაზეთი ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

რედაქცია: ნიკოლოოზის ქუჩა, 21. ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად და განცხადებათა დასაბეჭდად** უნდა მიმართონ რედაქციის და წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.

**ფასი განცხადებისა:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ—16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.



„ივერიის“ ტელეფონი № 227



## ლატარია-ალეგრი

„წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების“ სასარგებლოდ დ ა ნ ი შ ნ უ ლ ი ა 7 მ ა ი ს ს.

ვისაც ჰსურს შემოსწიროს ნივთები ამ ლატარიისა თვის, შეუძლიან ეს ნივთები გაუგზავნოს **ქნ. ოლგა თადეოზის ასულს ჭავჭავაძისას.**

(ნიკოლოზის ქუჩა, საგინოვის სახლი № 21).

**წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში ისყიდება:**

სურათებიანი ვეფხის ტყაოსანი, გამოცემული გ. ქართველიშვილის მიერ 10 მანეთად.

საქართველოს ისტორია ვახუშტი ბატონიშვილისა, გამოცემული დ. ბაქრაძის რედაქციით გ. ქართველიშვილის მიერ 2 მან., ტფილისს გარეშე დამბარებელმა წიგნის ფასთან უნდა გასაგზავნის ხარჯის ფულიც გამოგზავნონ.

(10—6.—9)

**ქართული თეატრი**

საქველ-მოქმედო წარმოდგენა, დანიშნული ოთხშაბათს 17 მარტისათვის გადაიდო ოთხშაბათისათვის 19 აპრილს.

წარმოდგენილი იქნება

**დანაშაული და სასჯელი**

დრამა 5 მოქ. თარგ. ვ. აბაშიძისა.

მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი


**გამგეობა**

**ტფილისის საურთიერთო სასოფლო მეურნეობის კრედიტის საზოგადოებისა ამით აცხადებს, რომ 25-ს ამა მდგომარე მარტიდამ მიიღებს არზებს მათგან, ვინც მოისურვებს კრედიტი იქონიოს ხსენებულ საკრედიტო დაწესებულებისაგან და წევრად ჩაეწეროს. წევრად შესაძ-**

ლოა ჩაეწერონ და კრედიტი იქონიონ ყველამ, წოდებისა და სქესის განურჩევლად, სოფლელს და ქალაქელსა. რა გვარად და რა სახით უნდა დაწერილ იქმნას არზა, ამისთვის საჭიროა მიჰმართონ თვით გამგეობას, რომელიც დროებით მოთავსებულია ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის ქარვასლაში, და ყველა საჭირო ცნობას იქ მიიღებენ.

თხოვნები მსურველთ შემდეგის ფორმით უნდა დასწერონ.

ტფილისის საურთიერთო სასოფლო მეურნეობის კრედიტის საზოგადოების გამგეობის მიმართ

(წოდება, სახელი, მამის სახელი და გვარი; რომელ მაზრიდან.)

უმორჩილესად გთხოვთ, მიშუამდგომლოთ, რათა მიღებულ ვიქმნე საზოგადოების წევრად, შემომაქვს რა (აღნიშნულ უნდა იქმნა ფულის რაოდენობა.) ამასთანავე პატივი მაქვს გაუწყოთ შემდეგი ცნობები:

1) მაქვს უძრავი მამული (სად იმყოფება, რა მამულია, დაახლოვებით რამდენი ღირს, დაიგებულია თუ არა და ან რა ფასში?

2) ჩემი ხელობაა (მიწათ-მოქმედება თუ რაიმე ხელობა?)

3 ვვაჭრობ 18—წლიდგან (რა საქონლით?) წელიწადში დაახლოვებით ა) ( ) მანეთის საქონელსა ვყიდულობ ბ) და ვყიდი ( ) მანეთისას.

4) ვასრულებ თანამდებობას და

5) ვსარგებლობ კრედიტით (რომელ საკრედიტო დაწესებულებაში და ან რა ზომით)

ხელის მოწერა.

საცხოვრებელი ადგილი

ჩვენ ქვემორე ხელის მომწერელნი ვამოწმებთ, რომ ამა თხოვნას ნამდვილად ხელს აწერს

ხელის მომწერლები:

## შემოწირულება

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების სასარგებლოდ გასამართ ლატარია-ალეგრისათვის ნიკოლოზ დოლობერიძის მიერ შემოწირულის ფულით იყიდეს ორი ხალიჩა ასან-ჰუსეინ ოღლისაგან, რომელმაც თავისს მხრით შემოსწირა შვიდი არშინი ქალამჟა.

---

† თელავიდგან მოგვივიდა დეპეშა, რომლითაც გვატყობინებენ ფრიად სამწუხარო ამბავს: 11 აპრილს გარდაიცვალა ქართველი მწერალი ქალი კნ. ბარბარე ჯორჯაძისა.

---

## ახალი ამბავი

*** სომეხთა ბელეტრისტის გაზაროს აღაიანცის ნიჭის პატივის-მცემელთ ცალკე კომისია შეუდგენიათ, რომელსაც მინდობილი აქვს ბელეტრისტს ნივთიერი დახმარება აღმოუჩინოს ხოლმე, რადგანაც იგი მეტის მეტი წვრილ-შვილიანია და ამ ჟამად დიდს გაჭირვებაში იმყოფება. „ნოვ. ობოზ.“

*** 9 აპრილს, საღამოს, დანით გამოიჭრა ყელი როტშილდის ქარხანაში მოსამსახურემ ნიკოლოზ კოზირენკომ. თავის მოკვლის მიზეზს ლოთობასა და სულით ავადმყოფობას აბრალებენ, რადგან ამ ორის თვის წინადაც სდომებია თავის მოწამვლა, მაგრამ ვერ მოუხერხებია. ეხლა-კი ზღვის ნაპირზედ წასულა და იქ მოუკლავს თავი.

*** 8 აპრილს არსენალის აღმართში ერთი შემაძრწუნებელი ამბავი მოხდა: ერთმა ქალმა მუცლის მოსაწყვეტი წამალი დალია, რომლის მიზეზით ერთის კვირის შემდეგ გარდაიცვალა. აი როგორ ყოფილა ეს ამბავი: რადგანაც ამ საბრალო ქალს ძუძუ-მწოვარა ყმაწვილი ჰყოლია, უფიქრნია მეორეს ვეღარ გავზრდიო და ერთი ვიღაც ბებერ დედაკაცისათვის ორი მანეთი მიუცია და წამალი გამოურთმევია. როგორც ამბობენ, ეს დედაკაცი, რომელმაც ორსულს ქალს წამალი მისცა, მეზობლად მცხოვრებ რუსის ქალებს დაუნახავთო.

საჭიროა, ასეთს გარემოებას ჯეროვანი ყურადღება მიექცეს და ერთხელ და სამუდამოდ სასტიკად აეკრძალოთ უცოდინარის ხალხის ამნაირს უბედურებაში ჩაგდება ასეთს მატყუარა ექიმბაშებს.

*** საზოგადოდ ხმოსნების რიცხვი, ახალის საქალაქო დებულებით, სულ ოთხმოცი უნდა იყოს. რადგან განსვენებულ პ. ა. იზმაილოვის სიკვდილით ხმოსანთა რიცხვს დააკლდა, ამიტომ ქალაქის გამგეობამ გადასწყვიტა კანონიერის რიცხვის შესავსებლად მოიწვიოს ერთ-ერთი მათგანი, რომელიც წარსულ 1893 წლის 13 ივნისს ოთხს წლით ხმოსნად იყო ამორჩეული, მაგრამ ხმოსანთა რიცხვში ვერ მოჰყვა. გადასინჯულ იქმნა საარჩევნო ფურცლები და აღმოჩნდა, რომ ყველაზედ მეტი საარჩევანო კენჭი ხმოსნის კანდიდატთა შორის (164 თ.—100 შ.) ჰრგებია მალაკან ნიკიტა მაკარის ძეს ბოლოტინს, რომელიც მიწვეული იქნება საბჭოში ხმოსნის თანამდებობის აღმასრულებლად.

*** 11 აპრილს ქალაქის გამგეობას კერძო მსჯელობა ჰქონდა, რომელზედაც მოწვეული იყო ქალაქის ინჟენერი, ტეხნიკოსი და საექიმო-სასანიტარო ინსპექტორის თანამდებობის აღმასრულებელი იმის შესახებ, რომ რა მასალა უნდა დავახვედროთ ინჟენერს ლინდლეის, რომელიც მაინის ფრანკფურტიდგან მოწვეულია ქალაქში გასაყვან არხების გეგმის შესადგენად. ამ მსჯელობამ აღმოაჩინა, რომ ქალაქის თვით-მმართველობას საკმაო მასალა ჰქონია შეგროვილი ლინდლეისათვის და დანარჩენს საჭირო მასალას-კი შეაგროვებენ და გაუგზავნიან ფრანკფურტში. ამას გარდა იმავე კრებაზედ ლაპარაკი აღიძრა, რომ ბ-ნს ლინდლეის მოველაპარაკოთ ახალის წყლის მილის გაყვანის შესახებ და რჩევა ვკითხოთ, საიდგან უფრო მოსახერხებელი იქნება გამოყვანა, რადგან აწინდელი ავჭალის წყლის მილი ქალაქისათვის საკმაო წყალს არ იძლევაო. ეს აზრი კრებამ მოიწონა და ამიტომ იქავე მიანდეს და ქალაქის ქიმიკოსს ბ-ნს ალიბეგოვს. ქალაქის ექიმს რეხტზამერს, რომ ინჟენერის ლინდლეის ჩამოსვლამდე ქიმიურად გასინჯონ წყაროები ჟინვანისა, საგურამოსი და ბულაჩაურისა და თავისი გამოკვლევა გამგეობას წარმოუდგინონ, რათა გამგეობამ იცოდეს, რომელი წყალი უფრო მარგებელი და ვარგისია სასმელად.

*** დ. ლანჩხუთი: აქაურ მკერვალ ქალთა უწეს რიგო ცხოვრებას ყურადღება მიაქცია ადგილობრივმა

## ფელეტონი

---

**ქართული ღვინოები.**

10 მარტს ნიკიტის საიმპერატორო საბაღოსნო და სამეღვინეო სასწავლებლის ლაბორატორიაში დანიშნული იყო ქიმიკოს-მეღვინის კ. ა. რუდზკის თავჯდომარეობით ქართულის ღვინოების დეგიუსტაცია; ქართულ ღვინოებთან გასინჯულ-შედარებულ იქმნენ რეინის, ბურგუნდიისა და ყირიმის ღვინოებიც.

ახლა მსურს მოკლედ ამ დეგიუსტაციის შედეგი გავუზიარო პატივცემულს მკითხველებს, რომელთაც ეინტერესებათ ღვინის ავ-კარგიანობის გამოკვლევა, ჩვენის მეღვინეობის ავკარგიანობის შეტყობა. ეს გარემოება მით უფრო საყურადღებოდ მიმაჩნია, რომ აქ ამ დეგიუსტაციაზედ, ჩვენის ღვინოების შესახებ, სრული ჭეშმარიტებანი წარმოითქვა გაგებულ, მცოდნე პირთაგან.

ერთის დღის წინად, სანამ ზემოხსენებულის ღვინოების ღირსების გასინჯვა-დაფასება დაიწყებოდა, ლაბორატორიაში ქიმიურის ანალიზის შემწეობით გამოკვლეულ იქმნენ მათი უმთავრესი და აუცილებელი შემადგენარი ადგილები, რომელთა რაოდენობას ჯეროვანი მნიშვნელობა აქვს დეგიუსტაციის დროსაც (ალკოგოლი ანუ ღვინის სპირტი, სიმჟავეთა რაოდენობა და სხვა). თავდა-პირველად, როგორც წესი და რიგი მოითხოვდა, გასინჯულ იქმნენ თეთრი და ბოლოს წითელი ღვინოები. თეთრ ღვინოებთა შორის პირველად მოიტანეს მ. გიორგი ასათიანის თეთრი ღვინო „ბოკოწინი“-რომელიც ნარევ ყურძნიდგან არის დაყენებული (მგონი უქაჰოთ არის დადუღებული). ამ ღვინომ საერთო ყურადღება მიიქცია ფერით, სხეულის უნაკლულობით და უმთავრეს შემადგენარ ნაწილების ნორმალურ მდგომარეობით. ფერი ცოტა მეტი მუქი აქვს, მაგრამ მაინც სასიამოვნო შესახედავია. საზოგადოდ ჩვენში თეთრი და წითელი ღვინოები ძნელად თუ ერთი მეორისაგან განირჩევიან (რასაკვირველია, ფერი რომ სახეში არ ვიქონიოთ), რადგანაც ორივე ერთნაირად კეთდება ჩვენის უცოდინარობისა და დაუდევრობის გამო, თუმცა თეთრი ღვინო სულ სხვა ხასიათისა და თვისებისა უნდა იყოს, ვიდრე წითელი. მ. ასათიანის ღვინო-კი თითქოს ჩვენში დაყენებულს თეთრს ღვინოს არ ჰგავს, რადგანაც მას თან ახლავს თ თრის ღვინის სინაზე და ნაკლებ სიმჟავეთა რაოდენობა. აქ ყველამ მხედველობაში მიიღო ამ ღვინის ხნოვანება (1893 წ. არის დაყენებული) და მასთან ისიც, თუ რა არა სასურველს მდგომარეობაში არის გაკეთებული. ბ-ნთ დირექტორებმა და რუდზკიმ იკითხეს: აქვს თუ არა მ. ასათიანს შესაფერი სარდაფი და მისი მოწყობილება, და როცა პასუხად უარი გაიგონეს, განცვიფრებულნი დარჩნენ. ამ ღვინოს, რასაკვირველია, აკლია სასიამოვნო ბუკეტი--სუნნელოვანება როგორც ახალს ღვინოს, მაგრამ საკადრისი მოვლა-შენახვა თუ დაურჩა, სწორედ მშვენიერი სახარჯი ღვინო (СТОЛОВЫМЪ ВИНОМЪ) დადგება. „ბოკოწინის“ შემდეგ გასაშინჯად მოიტანეს თავ. ბაგრატიონ-მუხრანსკის ღვინო „მუხრანი“, № 4, 1889 წ. ამ ღვინომ იჩინა თავი მეტად სასიამოვნო თაიგულით—სუნნელოვანებით, რომელიც ყოველივე კარგ ღვინოს უნდა ჰქონდეს და ურომლისოდ ღვინის ღირსება მცირდება. აქ ყველა შემადგენარი ნაწილები ღვინისა ჰარმონიულად არიან ერთიმეორესთან შეთვისებულ-შეხორცებულნი, ეს გარემოება ღირსებას ჰმატებს ყოველივე ღვინოს. თ. მუხრანსკის ღვინოს მოჰყვა რეინის ღვინო, რომელიც არაფერში არ ჩამოურჩებოდა. მის წინად გასინჯულს „მუხრანს“ მხოლოდ უფრო ნაზი თაიგული ემჩნეოდა; და თუ ამ ორს ღვინოს ფასითაც შევადარებთ ერთმანეთს, მაშინ რეინის ღვინომ ადგილი უნდა დაუთმოს ჩვენებურს, რადგანაც პირველი 4—5 ჯერ უფრო ძვირად ჰღირს, ვინემ მეორე, როგორც „პრეისკურანტებიდგან“ სჩანს.

საზღვარ-გარეთელის ღვინის შემდეგ გაისინჯა წინამძღვარიანთ-კარის სამეურნეო სკოლის თეთრი ღვინო „რქა-წითელი“ 1892 წ. (ეს ღვინო, ჩემის ფიქრით, არ უნდა იყოს წმინდა რქა-წითელი, არამედ შერეული). ამ ღვინომ სასიამოვნო შთაბეჭდილება მოახდინა ყველაზედ. ქიმიკოს-მეღვინემ კ. ა. რუდზკიმ სთქვა: ეს ღვინო რომ აქ, სამხრეთ ყირიმში, იყიდებოდეს, ყველა დიდის სიამოვნებით იყიდისო, რადგანაც სასიამოვნო სასმელი არის და ფასიც შესაფერი ექნებაო. ყნოსვის დამატკბობელი სუნნელოვანება კარგად ეტყობა, მხოლოდ ცოტა არ იყოს უფერული და თხელია. აქაც მხედველობაში უნდა ვიქონიოთ წინამძღვარიანთ-კარის სამეურნეო სკოლის ღვინოების შემდეგი გარემოებანი: ვენახი ჯერ სულ ახალ-შენი არის,—და, რასაკვირველია, ამისთანა ნორჩის ვაზებიდგან მოკრეფილი ყურძენი ვერ მისცემდა სკოლას იდეაულურს ღვინის მასალას, ამას გარდა სკოლას რომ კარგად მოწყობილი სარდაფსადული, უნდა დაუმატოთ, ჰქონდეს,

მთავრობამ და ბოქაულმა მოახდინა კრება, რათა გამოეკვლიათ მკერვალ ქალების უწესო ცხოვრება. საზოგადოებამ უარი განაცხადა ამაზედ. მაშინ თვით ბოქაულმა ამოირჩია რამდენიმე პირი, რომელთაც მიანდო ეს საქმე. ამორჩეულ პირთ გამოკვლევის შემდეგ დაასკვნეს: აღეკრძალოთ ლანჩხუთში მუშაობა და რამდენიმე მკერვალი ქალი განდევნილ იქმნას ლანჩხუთიდგან. საზოგადოების აზრიც ორად იყოფა. გარდაწყვეტილებას მაზრის უფროსიდგან ელიან.

*** იქიდგანვე: სოფ. ლანჩხუთის მახლობლად იოანე ნათლის-მცემლის ეკკლესიის თაღი ისე გაირღვა, რომ მლოცველთათვის საშიშია. კარგი იქნება, რომ ვისიც ჯერ არს, ყურადღება მიაქციოს.

## კორესპონდენცია.

**სიღნაღი.** აქ არის ორი სასაფლაო. 1, სომხებისა და მეორე მართლმადიდებელ ქართველებისა. 1 სასაფლაოს სიდიდ-სიფართე იმტელაა, რომ ქართველთ სასაფლაოზედ ორჯერ მეტი იქნება. ამ სასაფლაოზედ კარგა ხანია ამ ორს ერს აქვს უკმაყოფილება. ეს უკმაყოფილება კინაღამ დამტკიცდა აპრილის 5-ს თითქმის შეტაკებით. საქმე ასე იყო: 1 აპრილს გარდაიცვალა ერთი ტუსაღი „ზაპასნოი სალდათი“ სიღნაღის სატუსაღოში. ამ სალდათის დამარხვა მოისურვეს რამდენიმე ნასალდათარ რუსებმა იქ, სადაც მათი შვილები და სხვა რამდენიმე მიცვალებულნი ასაფლავიან სომხების სასაფლაოს მახლობლად, სადაც საფლავიც გათხარეს და ის იყო უნდა წაეღოთ მიცვალებული და დაემარხათ, რომ სომხების სასაფლაოს ყარაულები (ორი ყარაული ჰყავთ იმათ, ქართველებს ერთი) გაქცეულიყვნენ და შეეტყობინებინათ ა. შავერდოვისათვის, არიქა ქართველებმა თქვენი მამა-პაპის სასაფლაო დაისაკუთრეს და გართმევენო, ვითომც მის შავერდოვის მამა მღვდლის დეკ. ბეგიაშვილის ბრძანებით ამოეღოს მესაფლავეს და მის, შავერდოვის მამის, ალაგს ასაფლავებდეს გარდაცვალებულს სალდათს. ამ ამბავზედ იხუვლა მთელმა სომხობამ და გადაცვივდა სასაფლაოზედ, როგორც ერის კაცობა აგრეთვე ტერტერაც-კი. თუმცა შავერდოვის საფლავზედ კარგა მოშორებით იყო, მაგრამ მაინც ამოავსეს გათხრილი სამარე, დაუწყეს ლანძღვა-გინება და მუქარა მესაფლავეს, დეკანოზ ბეგიაშვილს და ი. ლ. ყავრიევს (სტაროსტაა წ. მ. ან. ეკლს.) და სხვა. რა გინდა სულო და გულო რომ მათ არ დახარჯეს. საქმე იმითი გათავდა, რომ სალდათი იმავე ალაგს დამარხეს, სადაც იყო მისთვის გათხრილი სამარე. აბა, ამაზეა ზედ გამოჭრილი ანდაზა: „აზამბურელი თათარი გოჭის თავს მედავებოდაო“. დროა გავაღოთ თვალი, მოვუაროთ ჩვენს თავს, ჩვენს მღვდელს მღვდელობა ერქვას და ერს ერობა და უცხო ხალხს არ ვალანძღვინოთ სახალხოდ მღვდელი, არ ვაქელვინოთ ერი, არ შევაბილწვინოთ მამა-პაპათ წმ. საფლავები. თორემ სულ ყოველთვის ხომ ესე მშვიდობიანად არ გათავდება საქმე. ერთხელაც იქნება მოთმინების ფიალა აივსოს და ვინ იცის რა იქნეს რისაგან.

№.

**ს. კარალეთი.** ყოველ აღდგომის მეორე დღეს და გიორგობისთვეშიაც აქ იცის დღეობა „ნაჭარმაგეობა“. ხალხი, როგორც თვით კარალელები, აგრეთვე ახლო-მახლო სოფლელები, იკრიბება ერთად ნაჭარმაგევის წმიდა გიორგის სახელობაზედ აგებულ ეკკლესიასთან და მხიარულება-სიმღერით ატარებდნენ დროს. წრეულაც ასე მხიარულებას მისცემოდა გლეხობა, მისხდომოდა გალავანში ქვევრებით შენახულს ზედაშის ღვინოს და ქეიფით ატარებდა დროს,

„წმიდა გიორგო, ცხოველო!...
შენ სადღეგრძელოდ მოველო!...
თუ შენ აღარას მიშველი,
გაგწყვლო, ისეგ წავალო!...

ზოგან კიდევ ხევ ქვეშ დაირა-„ბუზიკას“ გუგუნი გაჰქონდა და გოგო-ბიჭები თამაშობით ერთობოდნენ. დღეს აქ არა მხიარულობდა მხოლოდ ერთი გლეხი ყაზარა გურგენაშვილი. მას წმინდა ზედაშე“ ვიღაცა მრუდე ხელის პატრონებმა მოუხადეს და ცარიელზედ დასვეს. ეს ამბავი ყველა გლეხობას ეწყინა, ყაზარა მეზობლებმა მიიპატიჟეს თავისას და ეს ამბავი გამოუცხადეს მღვდელსა და მამასახლისს ქურდების აღმოსაჩენად.

კარალელი.

**სოფ. წილკანი,** 10 აპრილს (დუშეთის მაზრა). ჩვენში წყლის საქმეს ბოლო არ მოჰღებია; როგორც საქმიდგან სჩანს, ჯერ კიდევ კარგა ხანი გაივლის, ვიდრე თავისუფალს წყალი გვეღირსება, წარსულს იანვარში მიღებმა ინჟენერის ჰიდრავლიკის მოწერილობა და იმ მოწერილობის შინაარსიც ესე ახსნა: წილკნელებმა უნდა შეადგინონ გეგმა ყველა იმ ადგილებისა, რომლებზედაც იმათთვის სამჯობისი იქნება წყლის არხის გამოყვანა. ამ გვარმა ამბავმა ჩვენ საკვირველებიდგან გამოგვიყვანა, რადგანაც ბ-მა ინჟენერმა თავის ფეხით დაიარა ყველა ადგილები, იცის, რაში მდგომარეობს საქმე და, ვგონებთ, გეგმის შედგენაც იმისს მოვალეობას შეადგენს, მაგრამ მ. რატ—მა საქმე გაგვიჭირა. ამისის აზრით, თუ დაუყოვნებლივ გეგმას და საჭირო ფულებს არ მოვამზადებდით, საქმე ცუდად მოგვივიდოდა. რაკი წილკნელმა „ინჟენერებმა“ ვერას გზით ვერ მოახერხეს გეგმის შედგენა, გარდავწყვიტეთ სანდო პირი გაგვეგზავნა წყლების სამმართველოში და ნათლად შეგვეტყო საქმის ყოველივე გარემოება. დაიმედებულმა გლეხებმა საბოსტნეულო ნაბარი დაამზადეს, განსაკუთრებით, კიტრის მოსაყვანათ; მაგრამ იმედი გაუცრუვდათ, რადგანაც წყლის საქმე, როგორც გვაუწყა გაგზავნილმა პირმა, „ზავთრაზედ“ ყოფილა დამოკიდებულია და, მაშასადამე, გეგმის შედგენაც ეტყობა პიროვნულს ანგარიშებს გამოუწვევია. ჩვენს გაჭირვებულს გარემოებას ხელს უწყობს აგრეთვე შემდეგი ბოროტ მოქმედება. დიდი ხანი არ არის ტყის დარაჯობა მიიღო ერთმა ჩვენის სამამასახლისოს გლეხმა ზ. დიდ—შვილ მა. ეს დარაჯი თათბირობით ჰგზავნის გლეხებს ტყეში შეშის მოსაჭრელად, სადაც მათ მიელის დარაჯისაგან განდობილი ტყის ყარაული, რომელიც გაძარცულს გლეხს ცემა-ტყეპით ისტუმრებს ტყიდგან. საბრალო გლეხი დარაჯთან მიდის საჩივლელად, რომელსაც გუშინ პატივი სცა ღვინითა, ქათმითა და ერთი მანეთიც ერთის ურემის ფიჩხის გამოსატანი მიართვა. დარაჯი იმით ამშვიდებს გლეხს, რომ ტყის მცველი (ლესნიჩი) პირველის დიდი მეგობარია და პროტოკოლს სუმბუქად შეადგენინებს; ცულების დაბრუნება-კი, რომლებსაც ყარაულიართმევს დარაჯისაგან მოტყუებულს გლეხებს, ახალის კანონის ძალით შეუძლებელია. მეორე ჩარჩის მოღვაწეობამ ყოველს თავხედობას გადააჭარბა. ეს ხუთი წელიწადია, შემოგვესია ვიღაც ბევლარ ხითარიანცი და ისე გაგვიჭირა საქმე, რომ გაჩენის დღეს გვაწყევლინებს. ბევრჯელ ვეცადენით, ეს ვაჭარი გაგვეძევებინა როგორმე ჩვენის სოფლიდგან, მაგრამ ყოველმა ცდამ ამაოდ ჩაგვიარა. წრეულ აღარ მივეცით სოფლიდგან სავაჭრო მოწმობის აღების ნება, მაგრამ ჩვენ, ყურ მოჭრილს მონებს, ვინ რას გვკითხავს. ცბიერმა ვაჭარმა სოფლის ნება დაურთველადაც მოახერხა სავაჭრო მოწმობის აღება და შაურიანს აბაზად ასაღებს.

წილკნელი.

(მიბაძვა გვაზავასი) *)

ვიღაცა იყო, რაღაცა,
ძირს მიწა კვის, ზევით ცა,
იმან გულს მუშტი დაიცა,
გეტყვი ვინც იყო, დაიცა.

—

ზღვაში ჩავარდა გემმა და,
ტალღა მკერდს ეცა გვემადა,
ზღვამ ამოაგდო ეხლა და
შენ დაიცადე ე მანდა.

—

ველარ ამოვა „ვაი მე“,
შენ დაუკვირდი „აი მე“,
მე ბევრი გელაპარაკე—
თუ ვერ გაიგე, რაი მე?

—

ზღვამ ამოსტყორცნა, მიწამ დაკოცნა
სატრფოს შეჰხარა, „შუბლი შეხარა“
მას გეეხივა გულის ფიცარი,
ახლა-კი გეტყვი, იგი ვინც არი!

—

მე მოგახსენებ „ლილოსა“
გულმა მით მოილხინოსა,
გუშინ რომ წვიმა მოვიდა,
ის იმან დაიტიროსა,
თუ კითხვით თავი აგტკივდა
თავზედ დაიდებ ტილოსა.

მანჭია.

*) ბ—მა გვაზავამ სულ რაღაცა ორი, თუ სამი პოემა დასწერა და მიმბაძავნი ხელად შეიძინა! არა ყოველს ახლად გამოსულს მგოსანს გაუღიმებს ბედა ასე, ხუმრობაა!?..

შენიშვნა გაზეთის დამტარებლისა.

## აჭარა

(შემდეგი *)

34, სამზიარა. 70 კომლი. ოსმალეთში გადასახლდა 10 კომლი. მშვენიერი სოფელია და მშვენიერს სამზერალს ალაგსაც მდებარეობს. აქ სცხოვრობენ ძველ აზნაურის გვარის წევრნი აბულაძეები. აბულაძეები არტაანში (არდაგანი) სცხოვრობდნენ ძველად და აზნაურის შვილებად ირიცხებოდნენ. არტაანის გათათრების დროს ესენი არ დადგნენ იქ და გამოიქცნენ აჭარაში და სამზიარში დასახლდნენ, სადაც ქრისტიანობა აქაიქ კიდევ ბრწყინავდა. მაგრამ სამზიარსაც მალე ეწვია სჯულისთვის ბრძოლა. ოსმალთ გათათრება დაუწყეს, მაგრამ სამზიარელთ არ ქმნეს. ბრძოლა ასტეხეს, ოსმალთ ბრძოლას თავი გაანებეს. მთელს ხეობას აზნაური აბულაძეები ამაგრებდნენ, რომ სჯული არ გამოიცვალოთო. უკანასკნელად ამათაც უღალატეს, ესენი შეისყიდეს ოსმალებმა, მის(ც)ეს დიდი ქრთამი და მერე ამათის მეოხებით გათათრებულან სამზიარელნი, სადაც მაინც სჯულის გულისთვის 50 კაცზედ მეტი მომკვდარა ბრძოლაში. აბულაძეები შეუსყიდიათ გათათრებულთ თავდგირიძეებთ ასე 1750 წლებში.

ამავე სოფელში ძველად და დღესაც სცხოვრობენ ხალიფაშვილები.

*) იხ. „ივერია“ № 73.

---

რასაკვირველია, უმჯობესის ღვინის მომზადება შეიძლებოდა. რაც უნდა კარგის ღირსების ყურძენი მოკრიფოს მემამულემ თავისს ვენახში, ის ვერაოდეს ვერ დაუყენებს იდეალურ ღვინოებს, თუ ზემოხსენებული გარემოება ხელს უშლის, და აქ ცოდნა-გამოცდილება აუცილებელი საჭიროებაა. სკოლის „რქა-წითელს“ მოჰყვა თ. მუხრანსკის № 5 84 წ. და მის შემდეგ მოიტანეს სამხრეთ-ყირიმის ღვინო № ... სარდაფის თეთრი „პინო“, 1892 წ. ეს ღვინო შედარებულ იქნა ქართულ ღვინოებთან. ამ „პინოს“, როგორც საზოგადოდ ყირიმის ღვინოებს, თან მოჰყვა მისი ვინაობა: 1) ყველამ იცნო მაშინვე და ერთხმად სთქვეს „ეს ხომ ყირიმის ღვინო არისო“, 2) სიმწარე, რომელიც უმთავრესად, წარმოსდგება სიმჟავეთა რაოდენობის სიმცირის მიზეზით, 3) გადამეტებული სიმაგრე, რაც ძალიან აქვეითებს სახარჯო ღვინის ტიპს და ხდის მას უსიამოვნო სასმელად, 4) სიმჟავეთა რაოდენობის ნაკლებობა, რომელი გარემოებაც სიმხიარულეს, — სიცოცხლეს ართმევს სახარჯო ღვინოს, და 5) თავისებური ყირიმული უშნო, არა სიმპატიური ბუკეტი, რომლის უვარგისობა აფუჭებს მგემოვნებელის შთაბეჭდილებას, მაშასადამე ამგვარს ღვინოს ფასიც აკლდება, როგორც სახარჯო ტიპის ღვინოს...

ნუ დავივიწყებთ, რომ რუსეთის იმპერიაში, თუ სადმე წესიერად და რიგიანად მისდევენ ღვინის საქმეს, მისს დაყენებას სასურველს ყურადღებას აქცევენ, ეს, მართალი უნდა ვსთქვათ, ყირიმია და უფრო მისი სამხრეთ-ნაწილი. აქ თითქმის ყველგან შეჰხვდებით რიგიანს სარდაფს თავის მოწყობილობით, მშვენივრად შემუშავებულს ვენახებს, კარგის ჯიშის ვაზებს და სხვა-და-სხვას—რა გარემოებანიც, ყოველივე ეჭვს გარეშე, ხელს უწყობენ, სანატრელს გზაზედ აყენებენ მეღვინეობას. ამის-და მიუხედავად ყირიმის სახარჯო ღვინოები (столовыя вина) ძალიან შორს დგანან თავის თვისება-ღირსებით იდეალურ სახარჯო ღვინოებიდგან. ამის მიზეზი, მომეტებულ ნაწილად, ყირიმის ჰავის და ნიადაგის გარემოებაა და არა საქმის უცოდინარობა... თუმცა, როგორც სახარჯი ღვინის ტიპი, ყირიმის ღვინოები დაბლა დგანან, მაგრამ მიუხედავად ამისა ღვინის ვაჭრები ცეცხლის ფასად ყიდულობენ ამ ღვინოებს, რადგანაც უვარგის ღვინოების გასაუმჯობესებლად (კუპაჟისათვის) ძლიან გამოსადეგია ამგვარი ღვინოები. ეჭვი არ არის, მალე მოვა ის დრო, როდესაც აქაური სახარჯო ღვინოების ფასი ძალიან შესამჩნევად დაიქვეითებს და მაშინ, რასაკვირველია, ყირიმელნი მემამულენი იძულებულნი იქნებიან ახლანდელს მოგებას გამოეთხოვონ და სხვა გვარისა და ტიპის ღვინოები აყენონ და არა სახარჯო ღვინოები, რადგანაც მათ, ძალიან იაფათაც რომ გაჰყიდონ, მაინც არავინ იყიდის... ბევრს ახლაც სავსე აქვს თავისი სარდაფები გაუყიდავის ღვინოებით და გულ-ხელ დაკრებილნი შეჰყურებენ რამდენიმე წლის მოსავალს.—

როდესაც ყირიმის „პინო“ შეადარეს ჩვენს ღვინოებს, ყველამ ცხადად დაინახა: რომ როგორც წითელი ღვინო განსხვავდება, განირჩევა თეთრის ღვინისაგან, ისე განირჩევოდა ჩვენი ღვინო ყირიმულისაგან. აქ გასინჯული ჩვენებური ღვინოები ძალიან უახლოვდებიან თავის ტიპით და ღირსებით რეინის, ბურგუნდიის და ბორდოს სახარჯო ღვინოებს,—როგორც ბ. რუდზკიმ სთქვა; და ზემოხსენებულს ადგილებში ხომ შესანიშნავი ღვინოები კეთდება და დგება!—აქვე ბ. რუდზკიმ აუმატა, რომ საქართველოს ღვინოებს ბედნიერი მომავალი მოელისო. სწორედ სრული ჭეშმარიტება ბრძანა ბ. კ. ა. რუდზკიმ, მაგრამ თუ ცოდნა, ენერგია, მოთმინება და განივრული შრომა არ მოგვენიჭა ქართველებს, იმ შემთხვევაში ამ სანატრელს მომავალს ვერ მოვესწრებით. ჩვენ ქართველებს კიდევ გვძინავს, არ ვაპირებთ თვალის გახელას! ჩვენ არ გვინდა დავინახოთ, მივბაძოთ იმ სხვა ქვეყნებს და სხვა ტომის პირებს, რომლებიც ვინ იცის საიდგან მოსულან და ჩვენსავე მიწა-წყალზედ, ჩვენს დალოცვილს მამულში, ვინ მოსთვლის რას არ აკეთებენ?!—

ამნაირად გავრცელდა თეთრი ღვინოების სინჯვა—ჭაშნიკი, თეთრის ღვინოების შემდეგ დაიწყო წითელი ღვინოების ავ-კარგიანობის დაფასება და წითელი სახარჯო ღვინოებითვე დასრულდა „დეგიუსტაცია“. სხვა გასინჯულ ღვინოებთა შორის ყურადღება მიიქცია წინამძღვრიანთ სამეურნეო სკოლის წითელმა ღვინომ „საფერავი“ 1892 წ. საზოგადოდ საფერავის ყურძენი ისეთი თავისებური ჯიშისაა, რომ მარტო თვითონ არ იძლევა კარგს სასმელს ღვინოს, არამედ მომეტებულ ნაწილად საფერავის ღვინოს ხმარობენ კუპაჟისათვის, რომ სხვა უფრო მკრთალი ღვინის ფერი გააუმჯობესონ. მაგ.: ყირიმში ისეთი სქელი და მეტად მწკლარტე დგება ეს ღვინო, რომ ცალკე სასმელად თითქმის სრულებით არ ვარგა, თუ სხვა უფრო თხელ ღვინოს არ აერია. წინამძღვარიანთ—კარის სამეურნეო სკოლის საფერავი-კი ყველამ ძალიან სასიამოვნო სასმელად იცნეს. ამ ღვინოს სასიამოვნო ბუკეტი აქვს და თან ემჩნევა საფერავის არომატიც, რომელიც ამგვარის თვისებაა, მაგრამ ეს ბუკეტი და არომატი ისე წესიერად არიან ერთმანეთშორის შეზავებულნი, რომ მგემოვნებელი სულაც არ გრძნობს საფერავის უშნო და უვარგისს

სამზიარის გათარებულ ქართველთაგანს პირველად ხალიფაშვილებს მიუციათ თავიანთი შვილი ოსმალთა სასულიერო სასწავლებელში შეგირდათ და პირველად ამ გვარისაგან გამოსულა ხოჯა. შემდეგ ეს ხოჯა აჭარის მუფთად დაუდგენიათ, პირველი მაგალითი ყოფილა აჭარაში მუფთის დანიშვნა. ეს მომხდარა 1790 წლებში. ამ საუკუნის 1830—40 წლებში გაითქვეს სახელი ორმა სასულიერო პირებმა, რომელთაც სტამბოლის სასულიერო სასწავლებელში ჰქონდათ თათრული სწავლა მიღებული, სახელდობრ: გურჯი ისმაილ ეფენდი ხოჯა ხალიფაშვილი სამზიარელი, რომელსაც ოსმალნი სამზიაროღლის უწოდებდნენ და ჩვენგან ზემოდ მოხსენებული ქედის მუფთი ახმედ ეფენდი ხალიფაშვილი. ღრმად მოხუცი, გარდაიცვალა 1891 წ. ქედში. ეს ხოჯა სტამბოლიდგან საქართველოში 1840 წლებში დაბრუნებულა და ისმაილ ხოჯა-კი სტამბოლში დარჩენილა, რადგანაც ისმაილ ხოჯა სულთან მამუდს მიუღია თავისს ხოჯათ. სულთან მამუდს ეს გურჯი ისმაილი ალოცებდა თურმე. ხოჯა მეტად მშვენიერი კაცი ყოფილა და მასთანვე ძლიერ კარგი ხმაც ჰქონია. მის აზანს განცვიფრებაში მოჰყავდა სულთანი.

ისმაილ ხოჯამ სულთან მამუდს აუწყა, რომ ჩვენ ქართველები ვართ, ჩვენი ენა ქართული ენა არის, ჩვენმა ხალხმა თათრული და ნამეტურ არაბული არ იცის. ნება მოგვეცით, რომ ჩვენს ჯამეებში ქართულად იქმნეს ქადაგება, რომ ხალხმა გაიგოს რამე. სულთანმა ნება დართო და შეიხ ისლამისაგან ამის ნებაც მიეცათ ქართველთ ხოჯა-მოლებს ქართულად ქადაგებისა. „ყურანის“ სწავლის თანხმად ქადაგების წიგნი ქართულს ენაზედ შეადგინა ისმაილ ხოჯას და მხოლოდ მთელი წიგნი არაბულის ანბანით დაეწერა, რადგანაც ამ ხოჯას ქართული კითხვა არ სცოდნია, თუმცა ქართული ლაპარაკი ჩინებულად სცოდნია. ამისაგან შედგენილი წიგნი გამოუგზავნიათ აჭარაში და ხოჯებისათვის შემოუთვლიათ, რომ ამ წიგნიდგან დაისწავლეთ ქადაგებანი და ჯამეებში ისე იქადაგეთ ქართულად, როგორც აქა სწერიაო. აჭარაში ქართულად დაიწყეს ქადაგება. ამ საქმეს დიდად ხელს უწყობდა აჭარის მუფთი, ახმედ ეფენდი ხალიფაშვილი, გურჯი ისმაილ ეფენდის ბიძაშვილი. აჭარაში ქართულს ენაზედ ქადაგებამ 1855 წლამდე გასტანა, ხოლო ამ დროს-კი აღკრძალულ იქმნა ეს, რადგანაც რუსებისა ეშინოდათ. რუსებმა რომ აილონ ეს მხარე და ჩვენ გვნახონ, რომ ჯამეებში ქართულად ვქადაგებთ, რას გვეტყვიანო, სუყველას გაგვაქრისტიანებენო, ქართველები თუ არა ხართ ქართულად რაიზა ლაპარაკობთ და ქადაგებთო. ასეთს აზრებს ავრცელებდნენ ხოჯები და ამათ მალეც მოსპეს ქართულს ენაზედ ქადაგება, მაგრამ ქედის მუფთმა ხალიფაშვილმა-კი მაინც თავი არ დაანება და ხშირად ქართულს ენაზედ ქადაგებდა. ამას სხვა-და-სხვა ხოჯებმა რამდენჯერმე ოსმალოს შეიხ ისლამთანაც უჩივლეს, რომ ჯამეში ქართულად ქადაგებსო, მაგრამ ვერავინ რა დააკლოო. ამან შეიხ ისლამს წერილი მისწერა, რომ ჩვენ გურჯები ვართ, ჩვენი ენა გურჯულია (ქართული), ჩვენ ხალხს სხვა ენა არ ესმით და მაშ მე რა ენაზედ ვიქადაგო, „ყურანის“ სწავლა, თუ არ ქართულს ენაზედაო. მე მითხრეს, რომ მაშინდელის ქადაგების წიგნის ხელთნაწერი აჭარაში აქა-იქ მოიძებნებაო. ქადაგება ქართულის სიტყვებით არის დაწერილი, მხოლოდ ასოებია არაბულიო. აჭარის ბეგის, ბეგ ბეყონაძე დამპირდა, რომ ერთს ხელნაწერს გიშოვნით და ქართულად გადაგიწერინებთო. ვნახოთ. მეტად საინტერესოკი უნდა იყოს მისი მოპოვება, გავიცნათ, თუ ქართველი ხოჯა-მოლები როგორის ქართულის ენით ქადაგებდნენ.

35, სილიბაური. 50 კომლი. მოუსავლიანი ალაგია, წითელს მიწაზედ სძევს. ჯამე ეკლესიაზედ გაუკეთებიათ. რაც ესენი გათათრდნენ, მას შემდეგ 125 წელია გასული.

36, გარეტყე. 30 კომლი. 1850 წ. ამათგან ბევრნი გამწყდარან ოსმალთა წინააღმდეგ ომში, ამაების შესახებ ამბებიც ბევრია დაშთენილი.

37, ნამონასტრევი. პატარა სოფელია. აქ იყო ძველად ერთი ჩაქცეული ეკლესია, რომლის ქვებიც სოფლელებმა გაზიდეს. დღეს აღარაფერი სჩანს. ცხადი საქმეა და ამას ამ სოფლის სახელც აჩენს, რომ ძველად აქ მონასტერი უნდა ყოფილიყოს. ამ სოფლებით სრულდება მერისის ხეობა. აქ ბერი კაცები ამბობენ, რომ მერისის ხეობა ერთობ გვიან გათათრდაო. ბევრი უჯიათობა გაუვლიათ, ოსმალთათვისაც დიდი ზარალი მიუციათ. ოსმალნი ამათზედ ძლიერ გაჯავრებულნი ყოფილან და როცა მერისელნი გაუთათრებიათ, ამის შემდეგ, რაც რამ ეკკლესიები ყოფილა აქეთ, სულ დაუქცევ-დაუნგრევიათ და მოუწმენდიათ წმინდად, ასე რომ დღეს მთელს ამ დიდს ხეობაში ერთი ნაშთიც აღარ მოიპოვება გარდა სოფლებისა და ნასაყდრალის ადგილებისა. ახლა აქედგან ჩვენ ისევ აჭარის მარჯვენა მხრის სოფლებს გავყვებით, ქედას ქვემოთ, კახაბრამდის.

38, ორცვა. 40 კომლი. გადასახლდა 25 კომლი. აქ არის პატარა ნაეკკლესიარი. საყდრის გვერდით ერთს დროს საეკკლესიო ნივთებიც უპოვნიათ, მაგრამ ყველა ესენი ერთს ბინძურს ორმოში ჩაუყრიათ მოლების მეოხებით. მასში ბევრი ვერცხლის ნივთებიც ერიაო! ლამაზი სოფელია. ამის შესახებ ამბობენ: „ორცვა“ იმიტომ დარქმევია, რადგანაც აქ დიდი სიცივეები იცის, სხვა სოფლებზედ ზევრად ცივიაო და ამიტომ დარქმევია, რომ „ცივა“ და აქედამ გადაკეთებულა ეს სახელიცაო. აქ სცხოვრობენ ამ მხრის ბეგნი შარვაშიძეები, თურმანიძეები, ძველი აზნაურის გვარი, თათრების გამო შავშეთიდამ მოსულნი აქ და დასახლებულნი, მაგრამ ბოლოს აქაც გათათრდნენ. ნაკაშიძეები ქრისტიანობის დროს გურიიდამ მოსულნი აქ და გათათრებულნი. აქ ხსენებულ გვარის ოჯახებში ქართული კითხვა კაცებმაც იციან და ქალებმაც. ამ 3 წელიწადში აქ ქართულმა წიგნებმა ჩინებულად მოიკიდა ფეხი, დღეს მთელი სოფელი კითხულობს. ნაკაშიძეებს ბათუმში შეეძინათ „ვეფხის ტყაოსანი“ და რამდენიმეც სხვა ქართული წიგნები. ამ კეთილს საქმეში წილი აბდულ ეფენდი მიქელაძესაც უძევს „ივერიის“ ამბების მომწერს. იმედია, რომ ეს სოფელი მაგალითად გახდება სხვა სოფლებისათვის. ამათში ქართულს წიგნებს კაცი ყოველს ოჯახში ნახავს. ყველა სიამოვნებით ეგებება წიგნის კითხვის საქმეს. შემდეგ, ვნახოთ, როგორ წავა საქმე.

ზ. ჭ.

(შემდეგი იქნება)

## რუსეთის ცხოვრება.

—

პერმის საგუბერნიო მმართველობას სამართალში მიუცია კუნგურის საპყრობილის ზედამხედველი ლევიცსკი, რომელსაც ბრალად ედება პატიმრების უჯიათად მოპყრობა და მათი ცემა, რის გამოც ერთი პატიმართაგანი უკვე მომკვდარა. აი საქმე როგორ ყოფილა:

კუნგურის საპყრობილის სამს პატიმარს გაქცევა მოუნდომია. ეს ამბავი ციხის მსახურთ გაუგიათ და ბრალმდებელისათვის შეუტყობინებიათ. ბრალმდებელს განკარგულება მიუცია ციხის ზედამხედველისათვის „ყური კარგად უგდეო“. სწორედ იმ დღეს, როდესაც პატიმრებს უკვე გამოუმტვრევიათ საპატიმროს ფანჯარის რკინები და ორი კიდეც გადამძვრალა ფანჯარაში, ციხის ზედამხედველი სტუმრად ყოფილა. დანარჩენ მოსამსახურეთ გაუგიათ და გაქცეულები უკვე შეუპყრიათ. როდესაც ზედამხედველი დაბრუნებულა სახლში, ყველაფერი უამბნიათ. დამთვრალს ზედამხედველს გული მოჰსვლია, შესულა პატიმრების ოთახში, გაუხდია ზევითა ტანისამოსი და რაც ძალი და ღონე ჰქონდა, უცემია იმ სამის პატიმარისათვის. როცა კარგად დაღალულა, დაუძახნია ჯარისკაცებისათვის და უბრძანებია ეცემნათ. ჯარის-კაცებსაც თოფის კონდახებით სიკვდილზედ მიუყენებიათ. გულ-ქვა ლევიცკის ეს არ უკმარნია. როცა კარგად დაუსვენია, კიდევ სათითაოდ მოუყვანინებია თავისთან ეს პატიმრები და ძალზედ გაულახავს. პატიმრები რამდენიმე ხანს საავადმყოფოში იწვნენ და ერთი მათგანი, გვარად ჟილინი, კიდეც მომკვდარა. გამოძიებამ აღმოაჩინა, რომ ჟელინი ცემით მომკვდარაო.

—

„პრავიტელსტვ. ვესტნიკ“-ი სწერს, რომ ამ მოკლე ხანში სახელმწიფო საბჭომ უნდა განიხილოს მომავლის დედათა საექიმო ინსტიტუტის წესდებაო.

—

პეტებურგში ხმა გავრცელდა, რომ შინაგან საქმეთა მინისტრად დაინიშნება სასჯულო საქმეთა ახლანდელი მინისტრი მურავიოვიო. ამბობენ აგრეთვე, რომ საერო განათლების მინისტრი დელიანოვი სამსახურს თავს ანებებს და მის მაგიერ დაინიშნება პეტერბურგის სამოსწავლო ოლქის მზრუნველი კაპუსტინიო; სამსახურს თავს ანებებს აგრეთვე საერო განათლების მინისტრის თანაშემწე თავადი ვოლკონსკი და მის მაგიერ ინიშნება კავკასიის ოლქის მზრუნველი იანოვსკიო.

—

გაზეთი „ბირჟ. ვ.“ იუწყება. საიმპერატორო საარხეოლოგო კომისიამ მიიღო ძველი ბერძნული ფული ლიზი მახისა, ფილიპესი და ალექსანდრე მაკედონელის დროინდელი. ქ. რენიდგან (ბესარაბიის ოლქშია) რიცხვით 1,500, ამის გარდა კომისიამ კიდევ მიიღო 500 ტალანტი და როდესაც გამოირკვა, რომ ამ ფულის გამომგზავნელი მიიღებს ჯილდოს, კომისიას კვლავ მოუვიდა სხვა-და-სხვა კაცებისაგან თითქმის ამდენივე. ასე, რომ ახლა კომისიას აქვს 979 სხვა-და-სხვა ფული. სულ ღირთნი ღირს 12,000 მ. მიუხედავად იმისა, რომ კომისიას აქვს სხვა-და-სხვა ნიმუშის ფული, ამ ახლად შეძენილშიაც აღმოჩენილა რამდენიმე ახალის ნიმუშისა.

—

აქამომდე სახელმწიფო ტახტის მემკვიდრისა და დიდის მთავრების ტიტულს უმატებდნენ ხოლმე სიტყვას „ხელმწიფე“. ახლა სასახლის მინისტრმა წერილით აუწყა სამხედრო მინისტრს, რომ როგორც ტახტის მემკვიდრის, ისე სამეფო გვარეულობის

---

არომატს. ძალიან კარგ ფასად დააფასეს ეს ღვინო, როგორც საფერავი. —საჭიროდ მიმაჩნია აქვე მოვიხსენიო მამა ასათიანის წითელი ღვინო „გალავანი,“ 1893 წ., რომელიც ნარევი ყურძნიდგან არის დაყენებული,— ჩემის ფიქრით, მომეტებული საფერავის ყურძენი უნდა ერიოს, რადგანაც ყველა ადვილად ამჩნევდა საფერავის არომატს. ეს ღვინო ბევრით ჩამორჩება სკოლის ღვინოს, მაგრამ როგორც მასალა კარგ სასმელ-სახარჯო ღვინისთვის კარგია. თუმცა ახლო მეტი მჟავეა (სიმჟავეთა რაოდენობა 8,6 °/₀), ფერი ნამეტანი მუქი აქვს და ბუკეტი არ ეტყობა; როგორც ახალს ღვინოს შედარებით, არ გამეტყუნება. რასაკვირველია, ეს ღვინო რიგიანად რომ დაძველდეს, დამწიფდეს, სადაც ჯერ არას, დაჰკარგავს გადამეტებულს სიმჟავესაც და ფერსაც, მცოდნე კაცის ხელში. რაც შეეხება თ. ბაგრატიონ-მუხრანსკის ღვინოებს, მათ შესახებ მე აქ არაფერს ვიტყვი, ამ ღვინოებს ისეც იცნობენ და მასთან ყველამ იცის, თუ რა პირობებში და გარემოებებში არის გაკეთებული, დაძველებული...

ამ ნაირად, დეგიუსტაციამ სასიამოვნო შთაბეჭდილება მოახდინა ყველაზედ.—

მარტო ჰურჰლის გამოცვლამ ჩვენის ღვინოებისთვის და ცოტაოდენმა ცდამ შესამჩნევად გააუმჯობესეს ჩვენი ღვინოები—იქ, სადაც მამა-პაპურად დაყენებული ღვინო არ ვარგა.. მაშ რიგიანად მოწყობილი სარდაფები რომ გვქონდეს, მცოდნე პირები გვყავდეს, მაშინ ხომ ადვილი წარმოსადგენია, თუ ჩვენი ღვინოების ფასი და ღირსება როგორ აიწევდა საკეთილდღეოდ, მაშინ ხომ ყველა იცნობდა ჩვენს ღვინოებს კარგის, სასურველის მხრით და კარგი ბაზარიც ხომ მალე გაუჩნდებოდა? ვენახები რომ ხეირიანად შემუშავებული გვქონდეს, ხომ მშვენიერს მასალას მოვიმზადებდით კარგი ღვინის გასაკეთებლად. სამეურნეო სასწავლებლებში სწავლა რომ არ გვეზარებოდეს, ხომ ადვილად გავაუმჯობესებდით ჩვენს დაუძლურებულს მეურნეობას? „კაკარდა“ რომ გვძულდეს, ერთიმეორე გვიყვარდეს საქმით და არა სიტყვით, სოფლებში გლეხებთან მუშაობა არ გვრცხვენოდეს, არ გვეზარებოდეს ხომ 3-4 ქცევითაც კარგად და ბედნიერად ვირჩენთ თავს?

ვიცი, ყველა ამ კითხვებზე და მრავალს ამგვარზედ დამეთანხმები, გონიერო მკითხველო, მაგრამ ამისთანა თანხმობით რა გამოვიდა! ქართველები ამისთანებში სიტყვით ყოველთვის ვეთანხმებით ხოლმე ერთმანეთს და რაც შეხება ნათქვამის საქმით შესრულებას, რა მოგახსენოთ, ძნელად სრულდება ხოლმე ჩვენში... დრო მიდის, ჯიბე დაგვიცალიერდა, მამულები შემოგვაკლდა და რაც გვაქვს იმის მოსავალმაც, წინანდელთან შედარებით, ასჯერ იკლო და ამ მდგომარეობაში მყოფნი გულ-ხელ დაკრებილნი შევყურებთ, ჩვენც არ ვიცით ვის... დროა ვსძლიოთ ქართული სიზარმაცე, დაუდევრობა და სამაგიეროდ გონივრულს შრომას მივყოთ ხელი. შევეწიოთ, რაც ძალი და ღონე გვაქვს ჩვენთვის სამეურნეო დაწესებულებათ, მათთვის სულით და გულით მზრუნველთ, რადგანაც მხოლოდ აქ არის ჩვენ მემამულეთა და დავრდომილ გლეხთა ნუგეში.—

დასასრულ მოვალედ ვრაცხ ჩემს თავს უგულითადესი მადლობა განვუცხადოთ შემდეგ პირთ: ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლს თავ. კონ. ივ. ბაგრატიონ-მუხრან-ბატონს, რომელმაც კეთილ ინება და თავისს ღვინოების თითქმის ყველა ნომრებიდგან გვაჩუქა 1-2 ბოთლი, აგრეთვე დიდს მადლობას ვწირავთ ბ-ს ილია ივ. ძეს წინამძღვრიშვილს, რომელმაც თავისი ნორჩი სამეურნეო სკოლის ღვინოები გამომატანა და მამა გიორგი ასათიანს საკუთარ მამულის ორნაირი ღვინის მოცემისთვის.

| ანალიზი თეთრის ღვინისა. | სპირტის რაოდენობა. | სიმჟავე. | ნიშანი. |
|---|---|---|---|
| მ. გიორგი ასათიანისა 93 წ. . . | 11,5°/₀ | 5,5°/₀ | 4. |
| № 4 „მუხრანი“ მუხრან-ბატონისა 89 წ. 6 შაური . | 11,75°/₀ | 6,75°/₀₀ | 4,5 |
| რეინისა . . , | 10,25°/₀ | 5,5°/₀ | 4— |
| აქ. წითელი წინამძღვარ. კარ. სამ. სკოლისა 90 წ. | 12,25°/₀ | 7,2°/₀₀ | 4— |
| მუხრანი № 5 84 წ. | 12,5°/₀ | 7°/₀₀ | 4— |
| პინო №. . . | 13,5°/₀ | ? | 3. |
| მწვანე მუხრანი № III. 84 წ. . | 13,75°/₀ | 6,15°/₀₀ | 3— |
| დამპალო 80 წ. მუხრანი . . | 12°/₀ | 7°/₀₀ | 4. |
| წითელის ღვინისა არეული წითელი მამა ასათიანისა 93 წ. . . . | 12°/₀ | 8,6°/₀₀ | 3— |
| „საფერავი“ წინამძღვარ. კარ. სამ. სკოლისა 92 წ. | 11,75°/₀ | 6,4°/₀₀ | 4. |
| დილომი მუხრან-ბატონისა 84 წ. (ბურგონის ღვინის გემოს მოგაგონებს) . . | 12,5 | 7,42°/₀₀ | 5— |
| მუხრანი 89 № I. 6 შაური . . | 11,25°/₀ | 7,65°/₀₀ | 4— |
| მუხრანი 83 წ. . | 11,75°/₀ | 7,65°/₀₀ | 3. |
| დამპალო № 3 80 მუხრან. . . | 10,8°/₀ | 6,8°/₀₀ | 4— |
| წმ. გიორგი 78 წ. (150 კ.) . . | 11,25°/₀ | 7,2°/₀₀ | 3.3,5. |
| ლაფიტი „ორიანდისა (ყირიმის საუფლსწ) . . | 11,5°/₀ | 6°/₀₀ | 4— |
| ბორდოსის ღვინო, ანუ Chateau Neut Bailly 1 მ. 20 კ. . . . | 10,25°/₀ | 5,1°/₀₀ | 4— |

სვიმონ ხუნდაძე.

იალტა. 1895 წ. მარტი.

წვერთა ტიტულები მოიხსენიებოდნენ ხოლმე უამ-სიტყვითაო.

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

საფრანგეთის ცნობილი მწერალი ჟულ სიმონი ლაპარაკობს რა იმის შესახებ, რომ საფრანგეთის სასწავლებლები ცალ-კერძო განათლებას აძლევენ ახალ თაობასაო, სხვათა შორის, ისეთ თვისებებსაც ასახელებს, რომლებიც სწორედ რომ შეეფერება ჩვენში შემოღებულს სწავლის სისტემას:

„მოწაფეები, რომლებიც ფრანგულის რიტორიკის შემდეგ ქიმიას ჰკიდებენ ხელს, გერმანულ ენის შემდეგ—ასტრონომიას და ლათინურის შემდეგ მათემატიკას, მე მგონია, რომ ბედის ანაბარად არიან დატოვებულნი. ჩვენ ვხედავთ მრავალ მასწავლებელთა ხელმძღვანელობას, მაგრამ მართალი რომ გსურთ, ერთი იც არ უჩვენებს რიგიანს გზას. გვყავს მასწავლებლები, მაგრამ არა გვყავს აღმზრდელნი, გვაქვს განათლება, მხოლოდ არა გვაქვს აღზრდა, ჩვენ გვყავს ქიმიკები, ფილოსოფოსები, მაგრამ გვყავს თუ არა ადამიანი, ამას-კი არავინ ჰკითხულობს. ჩვენ იქით 15 წლის განმავლობაში მარტო ამას ვცდილობთ, რომ წვრთნით მას ვუკეთებთ, დაუმსხვრეველ ზურგს. ჩვენ ცხოვრებაში გამოგვყავს სასაცილო პატარა ნაწილები, რომლებიც კუნთებში არა აქვთ და რომელთაც არც თავიანთ გასრბოლა შეუძლიათ, არც არხზედ გადახტომა, არც ცხენზედ ჯდომა. არ შეუძლიათ რიგიანი რჩევა მისცენ თავისის თავს და ან სხვას, რომლებიც-კი საჭიროებს. სამაგიეროდ ამას, იგინი დატვირთულნი არიან უსარგებლო საგნების ცოდნით, რომლებსაც დიდის სიამოვნებით გამოიჩენენ ხოლმე ან სიტყვით, ან ქაღალდზედ. ამ ხალხს არ ძალუძს [illegible] საზოგადოების ხელ-მძღვანელად [illegible], ისე როგორც [illegible] ხოლმე სასიკეთოდ [illegible]. მერე თქვენ გგონიათ, რომ ესენი ჯერ მამულის შვილები იქმნებიან? თუ გინდათ, რომ ღირსეული მამულის შვილი იქმნენ, ჯერ ადამიანად უნდა გახდნენ“.

ამავე საგნის შესახებ მეორე გამოჩენილი მწერალი სპენსერი ლაპარაკობს:

„ბუნება,—ამბობს სპენსერი—სასტიკი მოსარჩელეა. თუ მისგან თხოულობენ იმაზედ მეტს, რაც მას შეუძლიან მისცეს, მაშინაც იგი ბალანსს დაიკავებს და რასაც ერთს ადგილს მომეტებულად დახარჯავს, იმას სამაგიეროს სხვა ადგილს დააკლებს, ხოლო თუ თავს მიანებებენ და ბუნებისამებრ აღზრდიან ადამიანს, თუ სულდგმულობენ, რომ უფრო დრომდ და ან მომეტებულად განვითარდეს რომელიმე მხარე, ბუნება ჯერ ან დაუთმობს, ხოლო თუ დაუთმოს, მერე, უფრო სასიკეთოს მხარეს დაუჩრდილებს.“

—

შტუტგარდტში დაიბეჭდა ახალი წიგნი იაპონიის შესახებ. წიგნის ავტორი—ბრანდტი—30 წლის განმავლობაში გერმანიის ელჩად ყოფილა ტოკიოში და პეკინში და კარგად იცის ჩინეთ-იაპონიის ცხოვრება. სხვათა შორის, ბრანდტი ეხება იაპონიის ეკონომიურს მდგომარეობას და ამტკიცებს, რომ იაპონია მომავალში ადვილად ჩაიგდებს ხელში მთელის აზიის ბაზარს და განდევნის ევროპის ნაწარმოებებს. იაპონია დღესაც საშინელი მეტოქე არის ამ ხელმწიფოებისა, რომლებიც კარგა ხანია ვაჭრობენ აზიაში და თითქმის ავსტრალიაშიაც, მაგალითად:

იაპონიას ლუდი, მაუდეული, რკინა, ლამპები, ბამბა-ნარევი ჩითი და სხვა ინდოეთში და ჩინეთში ჯერ დღესაც ევროპიდგან შეაქვს, მაგრამ [illegible] უფრო იაფდება. იაპონიაში მუშის ფასი ძლიერ მცირეა, მუშის შენახვა იაფად ჯდება, ასე რომ საკვირველი არ არის, თუ [illegible] იაპონიდგან მოტანილი [illegible]. [illegible] რომ გაზრდის—მრეწველობა იაპონიაში ისე სწრაფად ვითარდება, ამას ისაც ამტკიცებს, რომ ამ ჟამად იქ ათასზე მეტი ქარხანა არის და 131 საერო ბანკი არსებობს“.

## უცხოეთი

—

**იაპონია.** ვენიდგან გაზეთები იუწყებიან, რომ იაპონიის გენერლებს მიუღიათ სიდღუმლოდ მოწყობილობა დაუყოვნებლივ შეუდგნენ ციხე-სიმაგრეების აშენებას და ჩინეთის კუნძულის სამხედროდ. სხვათა შორის, გაზეთები ამასაც ამბობენ, რომ იაპონელები აწყობენ ახალ ჯარს რიცხვით ოც-და-ათი ათასს, რომელიც მოკლე ხანში გაგზავნილი იქნება ჩრდილო კორეაში.

**საფრანგეთი.** ხარჯთ-აღრიცხვა, დიდის კამათის შემდეგ, შეწყნარებულ იქმნა პალატის მიერ და გასულ შაბათს სხდომები შესწყდა, თითმეტს მაისამდის, ე. ი. ერთს თვეს. თუმცა გასავალი აღმატებულ იქნა შემოსავალს, მაგრამ იმედი აქვთ მთავრობას შემდეგში ეს ხარჯი შეავსოს. ყოველს შემთხვევაში საფრანგეთის გაზეთები კმაყოფილნი არიან, რომ გათავდა კამათი ხარჯთ-აღრიცხვის შესახებ. ეს კითხვა საფრანგეთის მთავრობისათვის საშიში კითხვაა. დღეის გადაწყვეტა და რამდენადმე თვითონ მისდევნებით იქნება საფრანგეთის მთავრობა.

**ავსტრო-უნგრეთი.** ვენიდგან იუწყებიან ხუთს აპრილს. დღეს კვლავ გამეორებულ მიწის-ძვრა. ქუჩები სავსეა ხალხის ნანგრევებით. მცხოვრებლების შიში აუწერელია. მოქალაქეები ღამით ბინებში არ დადიან, ხოლო ბაღებში ათევენ ღამეს. ზოგი ბოგირებში ცხოვრობს. მთავრობა დაზიანებულთა ეხმარება, ჯერ-ჯერობით წესიერება.

**გერმანია.** ორ-შაბათს თ. ბისმარკს მიულოცავს ავსტრიის სტუდენტებმა, რომელთაც შემდეგი სიტყვა უთხრა თავადმა: „ავსტრიაში არ შეიძლება, რომ კაცმა მარტო ერთს ეროვნებას მიაქციოს მთელი თავისი ყურადღება. ბრძოლა ეროვნებათა შორის ღვთის განგებით მოხდება ხოლმე და თითქმის ეს განგების მიერ შექმნილი სხვა-და-სხვა ეროვნება და ერთი-ერთმანეთთან ბრძოლა მათ შორის უმთავრესი მიზეზია იმ საერთაშორისო პრინციპისა, რომ უბრალოებით ცხოვრება წარმოუდგენელია. ბრძოლა საჭიროა, მაგრამ ერთისა და იმავე სახელმწიფოში ეს ბრძოლა დამყარებული უნდა იყოს ქრისტიანულ შეწყნარებასა და საქმეზედ და არა მე საგანზედ, რომ ერთი მოპირდაპირის გაბრაზება გქონდეს. ადვილი შესაძლებელია, რომ ჩვენ მოწინააღმდეგე ვერ დაიშვენო. მაგრამ, თუნდ ქრისტიანობისაც რომ არ მივაქციოთ ყურადღება, მარტო ერთი ის გარემოება, რომ ერთისა და იმავე სახელმწიფოს ვეკუთვნით, საკმარისი თავ-დაჭერით მოგვეპყრო უცხო ტომის მცხოვრებლებს. მე მსურს ჩინოთ თქვენ, სწორედ ამ შერიგების გზას დაადგეთ, რადგანაც თქვენი მდგომარეობა, როგორც ძლიერის გერმანელებისა, უზრუნველ-ყოფით თქვენ. გერმანული ბუნებითვე ძლიერი და მხნეა, ასე რომ თუ თავდაჭერილად მოიქცევა, ყოველთვის სხვისი ხელმძღვანელი შეიქმნება. სლავებს უფრო ძლიერი თვისებები აქვთ: მოხდენილობა, ჭკუა, ცბიერება და ხერხი, ასე რომ იმათთან შედარებით გერმანელი უფრო მძიმე და გაუთლელი გამოჩნდება, მაგრამ ძალა მაინც ჩვენსკენ არის. როცა თქვენ სლავებს წინააღმდეგ ჰმოქმედებთ, უნდა მოიქცეთ ისე, როგორც შეჰფერის გერმანელს და არც უნდა დაივიწყოთ თქვენი აწინდელი და მომავალი მათზედ უპირატესობა.

**ინგლისი.** „ინგლის-სომხური საზოგადოება“ 7-ს მაისს ჰმართავს ლონდონში დიდს საჯარო კრებას, რომელმაც უნდა განუცხადოს ოსმალეთს პროტესტი ქრისტიანების დევნის გამო. კრებაზედ აპირებენ დასწრებას ღუბლინის მთავარეპისკოპოსი, ქენტ ეპისკოპოსი, პარლამენტის ასი წევრი, ზოგიერთნი ლორდთა თავადნი და სხვა საპატიო სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწენი ამბობენ, რომ გლადსტონიც დასწრებოდა ამ კრებას, მაგრამ ახლა ჯერ ფიქრიდ იციან, რომ „დიდებულს მოხუცს“ არაჩვეულ მონაწილეობის მიღება იმედით საჯარო კრებაში, რომელიც ოსმალეთის წინააღმდეგ იმართება. ეს თვით გლადსტონმა აღიარა წერილში, რომელსაც მან მიმართა მისივე ხუცესიერ ქალაქის თავს.

—

**უცხოეთის წერილი ამბები.**

საფრანგეთის აკადემიაში ქემდა აღინიშნა წაიკითხა საფრანგეთის მოხსენება, რომლის შინაარსი მოკლედ შემდეგია:

„მეცნიერება მტკიცედ დაადგა ახალ იმ აზრს, რომ მომეტებულს არეის ხმარებას დიდი გავლენა აქვს ტვინზედ. გონის ტვინი იციანი ამის გამო [illegible], რომ [illegible]. შესაბამ დეიდა დაკარგა აქვს ტვინზედ. გონის ტვინი ჰგავს [illegible]; ამ მომატების [illegible] ქმედება ეყვლება ფერ-ფერად ჩვეულება თავის [illegible] ამენდება ძაღლების [illegible] იკლებს და [illegible] გარდამეტებულად [illegible] ემატება აქვთ გამოყოფილი ხელმწიფება ამ ხოლოს კბილების [illegible] ეთოება, სიმშვიდის [illegible] იგი ხალხი კადრება, რომ ჭკვიანი მაზე ზედა მანიფესტი [illegible] გამოყოფა, რომელთა [illegible] ტვინი, ფერ-ფერად, [illegible]“ [illegible] ქმედება და განწყობილია ზორონტ-მოქმედების ჩასადენად. თავის მოკვლა უფრო ხშირია ღოთებში. ხშირად ემართებათ ერთგვარი ციებ-ცხელება (бѣлая горячка), რომლის დროსაც მათ ელანდებათ რაღაც ცხოველები, გველები, სპილოები და სხ. ესმით რაღაც ხმები, რომლებიც უბრძანებენ მათ რამეს. ამ დროს ხშირად კაცი ჭკუაზედ სცდება. რაგინდ მშვიდი კაცი იყოს, ხასიათი ეცვლება, ფარმაცდება, აჩხუბდება. გარეგანი ნიშნები ღოთისა: დაწითლებული თვალები, ხრინწიანი ხმა, შეშუპებული სახე, გადურჯგბული ცხვირი, ხელები და თავი უკანკალებს, პირიდგან სამაგელი სუნი ამოსდის.

—

იმპერატორი ვილჰელმი ამ ჟამად სწერს დიდს გამოკვლევას ომის წეს რიგის შესახებ. წიგნი გამოვა სწორედ იმ დღეს, რა დღესაც სედანთან გერმანელებმა საფრანგეთის ჯარი დაამარცხეს 25 წლის წინად.

## დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

10 აპრილი.

**ცეტინიე,** 10 აპრილი. ქალაქ პლევას მახლობლად ოსმალელთ ჯარისა და ალბანელთ შორის შეტაკება მოხდა. რამდენიმე კაცი მოკლულია და დაჭრილი. ამბობენ, ქალაქს ოსმალნი შემორტყმიანო.

12 აპრილი.

**პეტერბურგი.** გუშინ ხელმწიფე იმპერატორმა დაათვალიერა რუსეთის ბეჭდვითი საქმის გამოფენა. იქვე იყვნენ დიდნი მთავარნი და მთავრინანი, ფინანსთა მინისტრი და სხვა წარჩინებულნი. იმპერატორმა ინახულა გამოფენის ყველა განყოფილებანი.

გაზეთ „სვეტ“-ს გაუგია, რომ მთავრობის მიერ დანიშნულს კომისიას შეუმუშავებია კანონ-პროექტი იმის შესახებ, თუ როგორ უნდა დაცულ იქმნას ავტორთა უფლება. განზრახულის კანონით, სხვათა შორის, მას, ვინც სხვის ნაშრომს გადაბეჭდავს, ექვსის თვით დაპატიმრებას გარდუწყვეტენ.

იმავე გაზეთს ატყობინებენ, რომ აბაზას თავმჯდომარეობით დაარსდა კომისია, რომელმაც უნდა განიხილოს შავი ზღვის ნაპირების დასახლების საქმე.

**სოფია.** პრინცმა კობურგმა გამოუცხადა მაკედონიის დეპუტაციას საყვედური იმის გამო, რომ მაკედონელნი თავისის საქციელით ოსმალოსა და ბოლგარიის შორის უთანხმოებას სთესენ.

**პარიზი,** 11 აპრილს. „Temps“ ამბობს, რომ იმ მორიგების პირობათა გამო, რომელიც იაპონიამ შეჰკრა ჩინეთთან, იაპონიას შეეძლება მეტის-მეტად ისარგებლოს ჩინეთის სიმდიდრითა, რაიცა საზარალო იქნება ჩინეთის მოსაზღვრე სახელმწიფოთათვის. ეს შიში აღიარეს პეტერბურგის, პარიზის და ბერლინის კაბინეტებმა, რომელთაც განუცხადეს იაპონიას, რომ მისი მოთხოვნილება გარდამეტებულია. აღნიშნულ კაბინეტთა შორის უკვე დამყარდა თანხმობა იმის შესახებ, რომ მშვიდობიანად დაამთავრონ საქმე, რისთვისაც იაპონიას დაუდგინეს კითხვა: სურს მას სიმონესეკში შეკრულ მორიგების პირობის შესახებ კონგრესი იქნეს მოწვეული ხელახლად განსახილველად ზემოხსენებულ მორიგების პირობათა, თუ ისევ დიპლომატიის საშუალებით დააბოლოვონ საქმეო.

**ნიცა,** 11 აპრილს. დედოფალი ვიქტორია დარმშტადში წაბრძანდა.

**ბერლინი,** 11 აპრილს. ელჩი თავადი რადოლინი პეტერბურგს გაემგზავრა.

**ლონდონი,** 11 აპრილს. გარეშე საქმეთა მინისტრის თანაშემწემ გამოუცხადა პარლამენტს, რომ მთავრობას ჯერ ოფიციალური ცნობა არ მიუღია ჩინეთ-იაპონიის მორიგების გამო მოლაპარაკების დასრულების შესახებ.

ის ხმა, ვითომც მორიგების პირობანი უკვე დაამტკიცესო ჩინეთ-იაპონიის მთავრობამაო ტყუილი გამოდგა.

იოკაჰამიდგან იუწყებიან, რომ გრაფი იტო, რომელსაც მინდობილი აქვს მოაწეროს ხელი მორიგების პირობას ამ დღეებში ჩიფუს მიდის.

ხიროშიმიდგან იუწყებიან, რომ მიკადომ ხალხს მანიფესტით მიჰმართა, რომელშიაც შეატყობინა ომის გათავება და ურჩევს ხალხს ეცადოს ჩინეთთან ხელახლავ მეგობრული კავშირი აღადგინოს.

**პეტერბურგის ბირჟა, 11 აპრილი**

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანეთიანი ოქრო . | 7,40 | — „ | 7,43 |
| 5%. მომგებიანი გირავნობის ფურცლები სახელმწიფო სათავად აზნაურო ბანკისა . . . . . | — „ | — „ | 210 3/4 |
| 4 1/2% გირავნობის ფურცლები იმავე ბანკისა. . . . . | 101 5/8 | — „ | — „ |
| 6% ფურცლები ქუთაისის სათავად-აზნაურ. ბანკისა. . . | 101 | — „ | — „ |
| 5% იმავე ბანკისა. . | 99 1/2 | — „ | — „ |
| 6% ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკისა . . . . . | 101 „ | — „ | — „ |
| 5% იმავე ბანკისა . | 99 3/4 | — „ | — „ |
| 5% ობლიგაც. ტფილისს ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | 99 5/8 | -- „ | — „ |

## განცხადებანი

დაიბეჭდა და ისყიდება ტფილისში წერა-კითხვის სამართველოში და ქართველთა წიგნების გამომცემელ ამხანაგობის წიგნის მაღაზიაში,

**საქართველოს ისტორია**

შემუშავებული და შევსებული
**მოსე გ. ჯანაშვილის მიერ.**
მეორე გამოცემა ზ. ჭიჭინაძისა
ფასი 70 კაპ.